

„საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“



2020 წლის თებერვლის საპროტესტო აქციებისა და სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ, პროექტის „საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“ ფარგლებში. მიმდინარე პროექტის ფინანსურად მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა „ღია საზოგადოების ფონდის“ ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მონიტორინგი: გიორგი წიქარიშვილი, ქეთევან მურდულია, თათია კონიაშვილი, გიორგი გამხიტაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: უჩა ნანუაშვილი, თამარ ხიდაშელი

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“

www.democracyresearch.org

ელ.ფოსტა: info@democracyresearch.org

შესავალი

2020 წლის იანვრთან შედარებით, თებერვალში შემცირდა საპროტესტო აქციების რაოდენობა. ოპოზიციური პარტიების და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული აქციები ძირითადად კანონის ფარგლებში, მშვიდობიანად მიმდინარეობდა. თებერვალში ჩატარებული აქციების მიმდინარეობისას დემონსტრანტები არ დაუკავებიათ, რის გამოც სასამართლო პროცესების მონიტორინგი არ ჩატარდა.

2020 წლის 10 თებერვალს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, მის წარმოებაში არსებულ - „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმეზე, პარტია „ევროპული საქართველო“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.¹ უგულავას დაპატიმრება ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო მოძრაობებმა მკვეთრად უარყოფითად შეაფასეს და 4 აპრილს მასშტაბური აქციის ჩატარება დააანონსეს.

თებერვალში ასევე აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა ყოფილი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის² გენერალური პროკურორის თანამდებობაზე განმეორებითი დანიშნვა, რასაც სამოქალაქო მოძრაობებისა და გაერთიანებული ოპოზიციის პროტესტი მოჰყვა.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მონიტორები 2020 წლის 1 თებერვლიდან 29 თებერვლის ჩათვლით აკვირდებოდნენ თბილისში, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული პოლიტიკური შინაარსის აქციებს.

მონიტორინგისას ყურადღება გავამახვილეთ საპროტესტო აქციებისა და დემონსტრაციების ზოგად აღწერაზე. გარდა ამისა, სამართლებრივ ჭრილში გავაანალიზეთ გამოვლენილი სამართალდარღვევები.

დაკვირვების სრულყოფილად საწარმოებლად, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ საქართველოს პარლამენტს და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საჯარო ინფორმაციის გაცემის თხოვნით მიმართა. ჩვენმა დამკვირვებლებმა შეისწავლეს სხვადასხვა საპროტესტო აქციებზე სამოქალაქო აქტივისტების მიერ გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალა.

ჩართული დაკვირვების პროცესში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც

¹ იხ. <http://pog.gov.ge/news/e-w-Tbilisis-ganviTarebis-fondis-saqmeze-msjavrdebuli-pirebi-uzenaesma-sasamarTlom-48-180-960-lar>

² ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტს იკავებდა 2015-2018 წლებში.

საპროტესტო აქციებზე მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შევძელით.

საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები

ორგანიზატორები

თებერვლში, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მონიტორები 8 აქციას დააკვირდნენ. აქციის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო მოძრაობებმა „გაბედე“, „შეცვალე“, „სირცხვილია“; ოპოზიციურმა პარტიებმა - „ლელო საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და ა.შ. და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრმა“.

საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო მოძრაობები ლოკალურ, შედარებით მცირე ზომის აქციებს ატარებდნენ, გაერთიანებული ოპოზიციის შეკრებებს კი, როგორც წესი, უფრო მეტი მონაწილე ესწრებოდა.

დაკვირვების შედეგები

აქციებში მონაწილეთა რაოდენობა 20-დან 500 მონაწილემდე მერყეობდა. 5 და 18 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი აქციები გაიმართა.

დემონსტრანტთა ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენდა:

- პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვა;
- სახელმწიფოს „პრორუსული პოლიტიკური კურსის“ შეცვლა;
- პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პატიმრების გათავისუფლება.

პოლიტიკური მოთხოვნების პარალელურად, თებერვლში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო მოძრაობების აქცია-პერფორმანსები გაიმართა. მათ შორის იყო 18 თებერვალს ბიძინა ივანიშვილის 64 წლის იუბილზე, სამოქალაქო მოძრაობა „გაბედეს“ მიერ ივანიშვილის ბიზნესცენტრთან ჩატარებული აქცია.

დემონსტრანტთა გადაადგილების თავისუფლება vs საზოგადოებრივის უსაფრთხოების დაცვა

თებერვლში, საპროტესტო აქციების მიმდინარეობის პარალელურად, საქართველოს პარლამენტის შენობაში (მათ შორის, კანცელარიაში, რომელიც პარლამენტის შენობის საჯარო ნაწილში მდებარეობს) მოქალაქეთა და სპეციალური სამშენი მქონე პირთა შესვლა შეზღუდული იყო.³ შესაბამისი სამშენი მქონე მონაწილეებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური

³ აღნიშნული ტენდენცია დაფიქსირდა იანვარშიც, როდესაც საკრებულოს შენობაში შესვლის

სამსახურის წარმომადგენლებმა პარლამენტის შენობაში შესვლის შესაძლებლობა სამ შემთხვევაში (4, 17 და 18 თებერვალს) არ მისცეს.

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ამოცანაა⁴, **მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან დაიცვას:** საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები, მათი მიმდებარე ტერიტორია და წესრიგი ამ ტერიტორიებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში. გარდა ამისა, კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებს უფლებას ანიჭებს დაცვის სპეციალური ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეზღუდონ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა ან გადაადგილება.⁵ უსაფრთხოების კონტროლის გაძლიერების მიზნით, **აუცილებლობის შემთხვევაში**, შესაძლებელია ასევე შეიზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების დაშვება.⁶

ამგვარად, პარლამენტის შენობაში შესაბამისი საშვის მქონე პირთა შესვლის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართლსაწინააღმდეგო ქმედებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უსაფრთხოების კონტროლის გაძლიერების აუცილებლობა, შესაძლებელია შეიზღუდოს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი საშვების დაშვება, **რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.**

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მონიტორების დაკვირვებით, თებერვლის თვეში ჩატარებული აქციები მონაწილეთა რაოდენობის და შეკრების მშვიდობიანი ხასიათის გათვალისწინებით, არ ქმნიდნენ საფრთხეს, რაც აუცილებელს გახდიდა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად პარლამენტის შენობაში (განსაკუთრებით, პარლამენტის შენობის საჯარო ნაწილში განთავსებულ კანცელარიაში) მოქალაქეების დაშვების შეზღუდვას. საფრთხის არარსებობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ადგილზე მყოფმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რასთან დაკავშირებით იყო შენობაში შესვლა შეზღუდული.

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების/წესრიგის დარღვევის რეალური და კონკრეტული საშიშროება, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ მიიჩნევს, რომ პარლამენტის შენობაში (მათ შორის, კანცელარიაში) შესაბამისი საშვის მქონე პირთა დაშვების შეზღუდვას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი და უფლების შეზღუდვის არაპროპორციულ ზომას წარმოადგენდა.

შესაძლებლობა არ მიეცათ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, რაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს.

⁴ კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, მუხლი 4.1.

⁵ კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, მუხლი 8, „ე“ ქვეპუნქტი

⁶ „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანება - პუნქტი 19¹

აქციების რეგულირება სამართალდამცავთა მიერ

რამდენიმე შემთხვევაში აქციაზე დამსწრე სამართალდამცავთა რაოდენობა აქციაში მონაწილეთა რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დამკვირვებლებმა აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე რამდენჯერმე შენიშნეს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ პირთა ჯგუფი, რომელთა ხშირი და უშუალო კომუნიკაცია სამართალდამცავებთან, იძლეოდა ვარაუდის საფუძველს, რომ აღნიშნული პირები თავადაც სამართალდამცავ სტრუქტურებს წარმოადგენდნენ.

აქციის მარეგულირებელ სამართალდამცავთა მოქმედებები ხშირ შემთხვევაში კანონის შესაბამისი და პროპორციული იყო. ძირითად შემთხვევებში, შეკრებაზე გამოვლენილ კანონდარღვევებზე პოლიციელები შემოიფარგლებოდნენ სიტყვიერი გაფრთხილებით.

თუმცა, ერთ შემთხვევაში, 18 თებერვალს, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან გამართულ შეკრების რეგულირების დროს, სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული საპოლიციო ღონისძიება - საზოგადოებრივ სივრცეში შესასვლელი გზის სრულად ბლოკირება, თავისი ხასიათით, არ იყო აუცილებელი და პროპორციული, ვინაიდან პოლიციის მიერ სავარაუდოდ ნაგულისხმევი „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ მიზნის მიღწევა სხვა, უფრო ნაკლებად შემზღვეველი საშუალებითაც თავისუფლად შეიძლებოდა.⁷ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 25 თებერვალს, როდესაც ბიზნესცენტრთან მეორე აქცია ჩატარდა, გვირაბის შესასვლელის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ, თბილისის ბოტანიკური ბაღის, ხოლო, მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრის შესასვლელს, პოლიციას აღარ გადაუკეტავს.

აქციის მონაწილეთა ინფორმირებულობის მნიშვნელობა და დარღვევები საპროტესტო აქციებზე

საპროტესტო აქციების მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა შეკრებისა და მანიფესტაციების მარეგულირებელი კანონმდებლობის თაობაზე პირთა ინფორმირებულობის გაზრდის მნიშვნელობა. ცალკეულ აქციებზე დემონსტრანტებმა საჯარო დაწესებულებების შენობებზე გააკრეს პოსტერები და სურათები, მოხატეს ტროტუარები, ადგილი ჰქონდა ნივთისთვის სიმბოლურად ცეცხლის წაკიდების ორ შემთხვევასაც, თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ შექმნილა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალური საფრთხე.

⁷ <http://www.democracyresearch.org/geo/232>